






# "ნახაზის" კალენდრის გამოცემა



ფალკონი

## „უკმარში“

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვით, ახალი ტექნოლოგიის შემოღებითა და გარკვეული სახსრების გაღებით რესპუბლიკის რიგმა საწარმოებმა ახალი პროდუქციის გამოშვების საიდუმლოს მთარგმნე გასაღები.

1986 წლის 9 თვის ბოლოსათვის სულ გამოშვებულია 106 მილიონ მანეთის ახალი სახეობის პროდუქცია „უკმარში“. ეს გახლავთ ახალი სიტყვა წარმოებაშიც და შრომითი კოლექტივების მიკროკლიმატშიც, ოღონდ თავისი შინაარსით ძველი ხილია იმ განსხვავებით, რომ არ ფუჭდება, კარგად იტანს ცუდ პირობებში შენახვასაც და ტრანსპორტირებასაც.

საწარმოებმა ამ სიახლის შემოღებით, ცხადია, შეამცირეს ძველი პროდუქციის გამოშვება, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით უნდა მიეწოდებინათ მომხმარებელთათვის და ეს დეფიციტი „უკმარშით“ შეავსეს.

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ ძველ პროდუქციასთან ერთად მომხმარებელს მიაწოდა დაუფასოებელი და ამასთან ხარისხით დაუფასებელი, რაოდენობით 19 მილიონ მანეთად შეფასებული „უკმარში“.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ – 5 მილიონ მანეთზე მეტისა.

ჭუთაისის საავტომობილო ქარხანამ – 2 მილიონ 488 ათასისა.

გურჯაანის საწარმოო გაერთიანება „ალაზანმა“ – 3 მილიონ 286 ათასი მანეთისა.

გორის ბამბულის საწარმოო გაერთიანებამ – 1 მილიონ 692 ათასისა.

თელავის სამკერვალო ფაბრიკამ – 1 მილიონ 172 ათასისა.

ამ საწარმოთა წამოწყება, ცხადია, მისასაღებელია, მაგრამ სიანსებებთან ერთად აქვს ერთი სერიოზული ნაკლიც: იგი უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე და თვით მუშა-მოსამსახურეთა განწყობილებაზე, რადგან „უკმარში“ პროფესიული ტერმინოლოგიით უკმარშიყოფილი პროდუქცია გახლავთ, ანუ პროდუქცია, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით უნდა მიეღო მომხმარებელს, მაგრამ ვერ მიიღო, ჩვეულებრივი ენით კი მას ტყუილი ჰქვია!

და კიდევ: ასეთ ხილს ჩვენს დროში ძნელად თუ ვინმე შეჭამს.

## საინსტიტუტო კოლუმები

1986 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკის 1054 საწარმოდან პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებაში სამომხმარებლო ჩვეულებრივი სრული ღონისძიებების მაგიერ გაატარა მეტად საინტერესო, ღრმად დამუშავებული „პოლუმერები“, რამაც საგრძნობი სამეურნეო ეფექტი გამოიწვია – სახელმწიფო გეგმის შესრულებას დააკლდა 54,5 მილიონი მანეთი.

ასეთი „პოლუმერების“ რაციონალური გამოყენებით თავი ისახელებს შემდეგმა შრომითმა კოლექტივებმა:

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ წარმოების გეგმა შეასრულა 88,7 პროცენტით.

ნახ. მ. სანხერალესა



— როგორც ხედავ, ზამთრისთვის ჩინებულად მოვემზადე!



## მცირე დიალოგი ვიდეობახუსის ფიგურა

— არნახული დრო ვატარებ წუხელ! უკეთესს ვერც ინატრებს კაცი აი, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდაო, ისეთი..

— ნუ მომკალი ლოდინით, დროზე მითხარი, თავიდან რით დაიწყეთ?

— ხომ იცი გოგის ამბავი? აიჩემა, ცოტ-ცოტა ყველაფერი გავსინჯოთ და შემდეგ, რომელიც მოგვეწონება, იმით გავაგრძელოთო ერთი სიტყვით, ჭერ ისტორიული ამბები შევუშვით კლასიკურ-მოდერნისტული ვარიანტებით, მერე განვტირთვისათვის განგსტერულ-პოლიციური ტრილერები დავაყოლოთ საგეტ-ვესტერნის გარნირით, ზედ ჩინური კუნგ-ფუ და იაპონური კარატე-ნიშძების ასორტიო.

— ოსტრი არ გქონდათ არაფერი?

— ბრაიან დე პალმა — თავისი კანიბალების, ვამპირების, ჰუმანოიდების, ცოფიანი რობოტების სალაითი. შიგადაშიგ ჰიტბარადების კოქტილბებსაც ვაყოლებდიო!

— სიყვარულზე არაფერი გქონდათ?

— ეჰ, შემოგვათენდა, თორემ „ცხელი ზავშვისა“ და „მელოდი სიყვარულის“ გასინჯვასაც მოვასწრებდიო! ერთი სიტყვით, დილით გარეთ რომ გამოვდით, ისე ვიყავით, ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით..

შოისმინა ნუზარ ბარდაველიძე





რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმი-ბოჭკომ“ - 91,6 პროცენტით.  
 ქუთაისის ავტოქარხანამ - 99,7 პროცენტით.  
 ფოთის ელექტრომანქანური გამამდი-ერებლების ქარხანამ - 66,8 პროცენტით.  
 რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ - 95,3 პროცენტით.  
 „პოლუმერების“, ანუ ნახევრად გატარებუ-ლი ზომების გამოყენება გრძელდება.

### „ვის გინდათ ქალი ეთერი?“

აბასალომის ეს შეძახილი უდიდესი სულიერი ტკივილის გამოხატაველია და სრულებითაც არ იძლევა თუნდაც ოდნავი გაღი-მების საბაბს.  
 რა თქმა უნდა, ძნელია ხელაღებით მოიშორო თავიდან შენთვის ასლობელი და საყვარელი არსება თუ ნივთი!  
 მით უფრო ძნელი ასატანია, როცა შენგან გასაყიდად გამეტებულს ზედ არავინ შეხედავს, არ დაემუშტრება!  
 წელს, 9 თვის შედეგების მიხედვით, აბასალომის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ „საქთევზმრეწვი“, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი“, რუსთავის „ცენტროლიტი“ და თბილისის ფოლად-თუჯჩამომსხმელი ქარხანა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მურმანები დეღელია მათ გამოშვებულ პროდუქციას და რეალიზაციის გეგმაც ამის გამო ვერ შეასრულეს.  
 სამკითხაო გვჩნდება მხოლოდ ერთი რამ - მურმანს ღალატობს გემოვნება თუ თვითონ პროდუქციას უგემოვნო?

### პერბაპარჯუვის ნიშანი



პერბაპარჯუვის ნიშანი ადრინ-დელ ზღაპრებშია ნახსენები და იგი ყვე-ლგან ისრის წვერის მოყვანილობისაა, თანამედროვე საკანტორო წიგნებში კი ჩიტის გაშლილი ფრთების მოსაზულობა შეიძინა და მას დარგობრივი სპეციალის-ტები „პტიჩკას“ ან „გალოჩკას“ უწოდებ-ნენ, ხმარობენ გეგმისა თუ ცალკეული ღონისძიების შესრულების აღსანიშნავად.  
 თურმე ნუ იტყვი, ამ ნიშანს შეუძლია ემბლემის მაგიერობაც გასწიოს.

**გინდა შენ, გინდა გუდაო!..**  
**საღსურ კიდოხა**

პაი დედასა, ბუღაო,  
 შენი სახელი ქუხდაო,  
 და უზრუნველად ცხოვრება  
 ოქროდ რომ მოჩუხჩუხდაო!..  
 მდიდრულად, განა უბრალოდ,  
 შენი ქონება დუღდაო!..  
 ინატრებდი და მზად იყო  
 სასმელ-საჭმელი მუქთაო!..  
 სასლი - ზღაპრული, ავეჯიც  
 გქონდა, როგორიც გსურდაო!  
 „გაზ-24“ შენთვისა  
 იყო, ვით ფული ხურდაო!..  
 კაცს, შენისთანა „შანსიანს“,  
 მეტი სხვა რაღა უნდაო?!  
 არად აჯდებდი კეთილსა,  
 სიმართლის მთქმელი გძულდაო!  
 პოდა, ცხოვრების ბორბალი  
 უკულმა მოგიბრუნდაო!  
 მოლიპული გზით მავალსა  
 ფენი რომ დაგიცურდაო,  
 „დამერთად“ ცნობილი ზოგისთვის  
 დმერთმა ძირს ჩამოგუდაო!  
 ახლა ფხისი გქვეს ისეთი -  
 გინდა შენ, გინდა გუდაო!

ვალიკო ხუხურაული  
 (დუშეთის რაიონი, სოფელი ხორხი)

წელს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა - თბილისის გაერთიანება „ჩარხმშენებელმა“, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ, წნორის მექანიკურმა ქარხანამ, სოსუმის ვაზის აპარატურის ექსპერიმენტულმა ქარხანამ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ საგრძობლად შეამცირეს ხარისხისნიშნები პროდუქციის წარმოების დონე და დანარჩენ პროდუქციას ამ ნიშნით უშვებენ.

### „ოდეს ზურგა გაიფლან...“


„ოდეს ტურფა გაიფლან, არღარა ღირს არცა წირად.“ წელს ამ დევიზით იშრომეს ქუთაისის ელექტრომექანიკური, ახმეტის ბიო-ქიმიური, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, ქუთაისის საავტომო-ბილო ქარხნებისა და თბილისის გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ კოლექტივებმა, რომელთაც მომხმარებლის თვალში საკუთარი პრეს-ტიჟის აწევის მიზნით კარგა ბლომად გააძვირეს პროდუქციის თვით-ღირებულება.



მოგება  
 და  
 ზარალი

ბრძანს უთქვამს; მოგება და ზარალი ძმები არიანო, თანაც ტყუპები და ამიტომ მათი ერთმანეთისგან გარჩევა, მე რომ ბრძენი ვარ, მეც გამიჭირდებაო.  
 წლებგანდელი წლის მეკვლე მოგების სახით გამოცხადდა ფოთის ელექტრომანქანური გამამდიერებლების ქარხნის და თბილისის სა-ოუველირო საწარმოს სელმძღვანელებს, 9 თვის შემდეგ კი გაირკვა, რომ ზარალი ყოფილა. ფოთელებს 1286 ათასი მანეთი დაუჯდათ მეკვლის აბრუნდი, ხოლო თბილისელებს - 540 ათასი მანეთი.  
 ზარალის ტყუპისცალი - მოგება - ნამდვილად გამოცხადდა წლე-ვანდელი წლის მეკვლედ გაერთიანება „საქთევზმრეწვი“, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ და ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, მაგრამ რაღაც-რაღაცები არ მოეწონა და ზურგი აქცია მათ.  
 მოგებას უნდა გაუგო, თუ გინდა, რომ საქმესაც ალღო აუღო! - ეს შეგონება სამერმისოდ მაინც გამოდგება!


არდაინდო არდაშენია  
 ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



სა. ი. ყაიხარაძის

უსიტყვოდ





ნ.ს. ლოლუასი

— შესანიშნავი ახალგაზრდა ხარ: ტანადი, თვალადი, მუყაითი, ზრდილი, განათლებული და იმუშავე, ბიძიკო, ჩვენთან, ფერმაში!  
— ისე შემაქე, მეგონა მართლა ადგილს მთავაზობდი!

### მ ს უ ნ ა ბ ი ზ მ ე ბ ი

- **ვისაც** რა უნდა უყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრფიალი: მიყვარს წონაში მატება, სხვის პურ-მარილზე გრიალი.
- **ცარიელ** ნერწყვის ყლაპვითა, აბა, რა შეგემატება? გამწოვილ მუცელს ჯობია ჩაბუტყუნ-ჩაყუბატება.
- **მაღა** თან დასდევს ლოქაფსა, რაზომცა დაეტარების, აქვს ალესილი კბილები, ლუკმა არ გაეპარების.
- **მიჰმარს** ხინკალი, ქაბაბი, მწვადს რომ ახლერ და ცვარი სდის, კარგსა ყლოურწავ და კარგსა ჭამ, ფულს კი კაპიკსაც არ იხდი.

ელგუჯა მერაბიშვილი

### მ ი ნ ი ა ტ ი უ რ ა

ბრანსპორტიდან ჩახვლისას ნაცნობმა ნაცნობს გადასძანა: მეგობრო, თქვენი ბილეთის ფული გადახდილი იქნებაო.  
— ნუ შეწუხდებით, ვიდრე მე ჩავალ, მძღოლს მაინც დაავიწყდება! — გულწრფელად შესჩივლა მეზავრმა. ჩამხვდელმა მას ირონიული ღიმილი შეაგება და მიუგო: — მძღოლს თუ დაავიწყდება, ეგ არაფერი, მთავარია, შენ გახსოვდეს!..

ფრიდონ სომხიშვილი

დღევანდლობამდე მოაღწია სვანჯით და სრიკით, მას როგორც სურდა, ისე მღეროდა...  
კვლავ ურიშვილობს და სმალივით ყანწს იქნევს იგი — მთავარსარდალი სადღევრძელოთა!..  
რომ მამულისთვის ერთმანეთის გვინდა ვატანა, არ გადავევოთ კვლავ სორციელ ვნებებს და სურვილს და არ მივეყოლოთ მაცილს, სატანას ჩვენი მზესავით ნათელი ხული!  
რომ მომდგარია კარზე თემიდაც და ყველას მკაცრი თვალეზით გვიმზერს, ის კარგად განსჯის ჩვენს ძველ ცოდვებს, ანლუხსაც თუნდაც, ჩვენი დაცემის და ფურფლიდან აღდგომის მიზნს!  
მთავრდება სუფრა და სუფრიდან ამაყად გადის „მთაშომავალი“ და „მემკვიდრე“ ცოტნეს, საბასი და ახლა მსოლოც ერთადერთი აწუსებს დარდი: რომ გაეხვიოს თბილად საბანში!

ბადითარ არაგული

### ღბას განკითხვის ჟამი!..

„საცოდავი ძღვენის“ უქონლობის გამო, ფენით თელავ იას, მზის ჩაქრობას ლამოშ! შეიძინე ტანტი, მოკალათდი, რათა მოუწამლო გული ალაღსა და შართალს! ეინც საჩუქარს გაძლევს, ვინც სუფრასთან ვინშობს, გინდ ფურტურო იყოს, — ვინშე ცაცა, მინო, — მათთვის სკამიც ჩნდება, გზას უქებნი ადვილს. შენი ფენით ქვეყნად ზოროტება დადის! ჭუჭყიანი სულით გიმძიმდება სორცი, დიდი კაცი გქვია გაბღენძილს და მოცილილს! აგვსდება მალე ნიღაბი და ფარდა განა ვერვინ გხვდავს, ჩემთა თვალთა გარდა?! დაგადგება ყელზე ის არამი ლუკმა. გეშინია, ვიცი, გული ვიგრძნობს უკვი! გემატება რისხვა, როგორც დაჭრილ დათვეს. შემოდგომის სუსნი ყალბ ღიმილსაც გართმევს! ამ მოსარკულ ზეცას რის იმედით უმზერ? დგას განკითხვის ვამი შენი კარის ზღურბლზე!..

ბალინა ლლონბი-მუსელიანი





— მეცნიერებმა დროულად თუ არ გამოიყვანეს ყინვაგამძლე ჭიშის საქონელი, ფერმის მართო ეს გარემონტებული შენობა შეგვრჩება!...

### ფრაგმენტი

- დედ-მამა შვილს თვლებში შემაყურებდა, შვილი კი — ხელეშში.
- ავადმყოფი ექიმის იმედით ცხოვრობდა, ექიმში — ავადმყოფის.
- მზნაპრი მძღოლის მისაცემად ხურდას აწვადებდა, მძღოლი — სამხართლოდან გინებას.
- დედამთილი რძალს ცეცხლს უქიდებდა, მული ნავთს ასხამდა.
- რამპატიბორანი დილინებდნენ, აბიტურიენტის შოზობლები მოსთქვამდნენ: ფინგანში შესატანი ფულიც ჩვენი გადასახდელიაო.
- მღვდელი მობინადრეს ბინის კედლებს უთითნიდა, ჭიბეს კი უსუფთავებდა.
- ქმარი მანეთს მანეთს ადებდა, ცოლი სპეკულანტს ამდიდრებდა.
- სანოღე ვაჟი მღვდარს ხასიშპროს ეძებდა, ხასიშპროს — მღვდარს ხასიშოს.

ნახ. 3. კუციაძე



უსიტყვოდ

# კომბინაციები კომბინირებული საკვების ქარხანაში

ფელატონი



ამ დანაშაულებრივი მოქმედების სცენები იმართება ცხაკაიას რაიონში. მოქმედი პირები არიან კომბინირებული საკვების ქარხნის დირექტორი გიგური ილიკოს ქა გვასალია, ნოსიის მარცვლელის საწყობის მეკუჭნავე ალიკო თორნიკის ქა ქანიბაია და იმავე საწყობის ზეინკალი ირაპლიშვიტი მიტროვანს ქა ჯღარკავა. ალიკო და ირაკლი წინათ რამდენჯერმე იყვნენ გასამართლებული. გიგურის ეს „ბედნიერება“ არა ჰქონია.

1985 წლის დეკემბრის ბოლოა. ახალი წლის დადგომამდე ორიოდე დღეა დარჩა. დირექტორის კაბინეტში სასწრაფოდ გამოძახებული მეკუჭნავე შედის.

დირექტორი: — გამარჯობა შენი!

მეკუჭნავე: — ვაგიმარჯოს, უფროსო!

დირექტორი: — მოდის ახალი წელიწადი, რა უნდა აკეთო შენ?

მეკუჭნავე: — ზუსტად ვიცი, უფროსო! უნდა მოგართვა ათას მანეთად ღირებული გოჭები, ინდაურები, ქათმები, აგრეთვე სხვა პროდუქტები...

დირექტორი: — ფული რომ არა გაქვს?

მეკუჭნავე: — მერე რა, ვალდებული ვარ, მოგართვა, უფროსო!

დირექტორი: — ამას ქრთამი ხომ არ ჰქვია?

მეკუჭნავე: — რა ვიცი, ალბათ მერე გაირკვევა!

დირექტორი (ცოტა დაუჭვებულად): — რაც იქნება, იქნება!.. წადი, იმოქმედე!

მეკუჭნავე: — არის, ვიმოქმედო, ამჯერად უფულოდ!

1985 წლის 31 დეკემბერს, ახალწლის ღამეს, დირექტორს მეკუჭნავისაგან მიერთვა ათასი მანეთის გოჭები, ინდაურები, ქათმები და სხვა პროდუქტები. რა თქმა უნდა, უფასოდ!

დირექტორისათვის ქრთამის სახით სხვადასხვა პროდუქტის მიცემის ასეთი სცენა მეკუჭნავემ ზუსტად გაიმეორა 1985 წლის აპრილში და იმავე წლის მაისში (ხომ მოდიოდა პირველი მაისი და ცხრა მაისი!).

შემდეგ გამოძიებამ თავის დოკუმენტებში ჩაწერა: „1984 წლის დეკემბრიდან 1985 წლის მაისის ჩათვლით ა. ქანიბაია გ. გვასალიას ქრთამის სახით არაერთხელ მისცა 3.500 მანეთად ღირებული პროდუქტები“. ა. ქანიბაია ქრთამის მიცემაში წააქეზა ზეინკალი ი. ჯღარკავა, რათა მას დირექტორისათვის მიეცა 2.500 მანეთი, ამას დაუმატა თავის მხრივ 2.500 მანეთი და ეს 5.000 მანეთი 1985 წლის მაის-ივნისში ა. ქანიბაიამ გ. გვასალიას გადასცა თავის კაბინეტში.

ამ პერიოდში შეიქნა ლაპარაკი, რომ ზოგიერთი მუშაკი უნდა შემცირდესო. შემცირებამი რომ არ მოეყოლებინათ, ა. ქანიბაიამ და ი. ჯღარკავამ იმიტომ გაიმეტეს აღნიშნული ხუთი ათასი მანეთი, რასაც ა. ქანიბაიამ კიდევ დაუმატა ჯერ 1.000 და შემდეგ — 500 მანეთი.

დირექტორის დაპირებამ, თქვენ არ შეგამცირებთო, ჩაილურის წყალი დალია: ცხაკაიას რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების საფუძველზე 1985 წლის 10 სექტემბერს გ. გვასალიამ სხვებთან ერთად ა. ქანიბაია გაათავისუფლა სამუშაოდან.

აი, სწორედ მაშინ დადო ეშმაკმა დირექტორის მაგიდაზე „განხეთქილების ვაშლი“. ა. ქანიბაიამ გ. გვასალიას მოსთხოვა: ან სამუშაოზე აღმადგინე, ან ჩემს მიერ ქრთამად მორთმეული ფულები დამიბრუნეო. დირექტორმა ქვა ააგდო და თავი შეუშვია, ეს არ მოსდებო.

მაშინ მოხდა, რაც მოსასდენი იყო: დირექტორის კაბინეტში შეიჭრა ა. ქანიბაია, რომელმაც გ. გვასალიას „ცინიზმითა და განსაკუთრებული თავხედობით შეაყენა სხეულის დაზიანება...“

ამ ბოროტი ხულიგნობისათვის ა. ქანიბაია გაასამართლეს. იგი სასჯელს იხდიდა ერთ-ერთ სპეცკომენდატურაში, საიდანაც გამოიქცა და ცხაკაიაში ორჯერ დაესხა თავს გ. გვასალიას (ერთხელ — ქუჩაში, მეორედ — სამუშაო კაბინეტში) მისი მოკვლის მიზნით!..

ბოლო სცენა ისევ ცხაკაიაში გაიმართა: სასამართლოს წინაშე წარდგნენ ქრთამის აძლეხი და მიმცემებიც. სხვათა შორის, აქ აღინიშნა, რომ გ. გვასალიამ მსჯავრდებულის მუდღეს მშია ქანიბაიას დაუბრუნა 6.400 მანეთი, სოლო დანარჩენი 1960 მანეთი არ დაუბრუნებია.

სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განჩენით ა. ქანიბაიას მიესაჯა რვა წლით, გ. გვასალიას ცხრა წლით, სოლო ი. ჯღარკავას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. გვასალიას, პირადი ქონების კონფისკაციასთან ერთად, დაეკისრა 3.460 მანეთის გადასახადი მშია ქანიბაიას სასარგებლოდ.



ს. ხვამელი











— შეიძლება, ჩემი ძროხა თქვენს ფერმაში გამოვაზამთრო?
— ვნახოთ, ფერმის ძროხებს მოველაპარაკები!..

306-308...

ვინ ვის ჯაბნის და ვინ ვის ატყუებს, ვინ ვის ფანდებით ძღვევს... კეთილი კაცი კეთილ საქმისთვის არ ელოდება ძღვენს!

ვინ ვის ჯაბნის და ვინ ვის ატყუებს, ჯიბებს ისქელებს ვინ!.. ვინ საოცნებო ქალაქს აშენებს, ვინ სულ არ ანძრევს ტვინს!

მანანა ზაზიკაშვილი



უზრომელი შემოსავლის ფესვები

4.9.

ბეჰან ლომსაქა მოკრძალებული და ბუჯითი სტუდენტ იყო. 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეურნალისტიკის ფაკულტეტი. მერე წლებს მანძილზე ეურნალისტიკის პერსონალური პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით იღვანა ახალციხის რაიონულ გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქციის ნათელი კვალი დატოვა, ცხოვრებიდან კი აღრეწა: მრავალჯერ განუსოცხელებული ოცნება და გამოუქვეყნებელი სატირული ნიშნის რისტული ნაწარმოები დარჩა.

დღეს შვითხელის სამსჯავროზე გამოგვაქვს ერთ-ერთი მათგანი.

გაუპარჯოს «გაუპარჯოს»!

იუმიორისკა

ერთი მშვენიერ დღეს პროვინციული გაზეთის „ავანგარდის“ რედაქტორად დამნიშნეს. მეუღლის, სიდერისა და რამდენიმე შინაურის გარდა სხვა ყველა გაოცებული იყო და ამ თანამდებობისათვის შეუფერებლად მთვლიდა, რადგან არ მქონდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომს რომ უძახიან (საოცარია: უდიდლომებმა, აბა, მარტო პაერი ვყალბათ?). ამასთან ყველა დარწმუნებული იყო, რომ მე მეუღლის ბიძის წყალობით ისეთმა კაცმა დამაწინაურა, წყალი არ გაუვიდოდა.

დარგობრივი გაზეთის „ახალი ნოზათის“ რედაქციაში სუთდლიანი „სტაჟირება“ გავიარე და ჩემი ახალი მოვალეობის შესრულებას დიდ მონდომებითა და უმწიკვლოდ შევედექი.

პირველივე წუთებიდან ვიგრძენი, თუ რა მდიდარია ჩემი პრაქტიკული გამოცდილების არსენალი. აქ გადმოყვანამდე სომ თანამდებობებს პერანგებოვით მიცვლიდნენ?! მამასადამე, დრო ტყუილად არ დამიკარგავს! — ვიყავი კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი, მედორეობა-მეცხოველეობის გაერთიანებული ფერმის ბრიგადირი, საბჭოთა მეურნეობის მომმარაგებელი (მაშინ ცინეს ბეწზე გადავურჩი!), სარაიონო კულტურის სახლის სამსატერო ნაწილის ხელმძღვანელი, ბოლოს — წყალში მამეველი საზოგადოების სახელმწიფო ინსპექტორიც. ამ თანამდებობაზე მთელი შვიდი წელი ვიმუშავე და მხოლოდ სუთი კაცი დაისრჩო წყალში.

კვითხულობ ქართულ და რუსულ, ანუ, პირიქით, რუსულ და ქართულ ენებზე. წერას ახლა ვსწავლობ. ეგ ჩემთვის არც არის სავალდებულო!

გაზეთის გვერდებს გულისყურით კვითხულობ, რათა კორექტურული შეცდომები არ „გამეპაროს“.

სინარულით თვალევი გამიბრწყინდება სოლმე, როცა ჩემს მიერ ხელმოწერილ გაზეთში ასეთ „მარგალიტებს“ ამოვიკითხავ: „100 ძროხაზე 73 ხბო, 816 გოჭი, 44 ბატანი — ეს ძალზე დაბალი შედეგია“.

მწყინს, რომ 100 ძროხაზე სულ ცოტა 100 ხბო, 1000 გოჭი და 140 ბატანი არაა მიღებული. ან რად ღირს ასეთი მატრიანური ფრაზა: „შესაჯამებელი მანვენებლიდან დადებითი შეფასება მიიღო 51 მანვენებულში“ და ა. შ.

ფრიად მომწონს ასეთი სტილი და თანამშრომლებსაც ვაძილებ, ასე წერონ.

დანარჩენი — გაზეთის იდეური და მსატერული დონე, ჟანრები, ტექნიკური გაფორმება, საერთოდ გაზეთის რედაქტირება (ამ ტერმინებს, როგორც იქნა, დავეუფლდე) ჩემი საქმე არაა. გეგმ თანამშრომლებსათვის დამითმია! წერის გარდა რას მიკეთებენ?! კეთილი ინებონ და მიხედონ!

გაუპარჯოს „ავანგარდის“!

ბეჰან ლომსაქა



### კონკრეტული უბილაგა,

კროკოდლის სახელწოდებით

აბაზონაში რომ ვთქვა, არ მიყვარს აბაზონაში სიარული. ჩემს ბუნებას არ ესადაგება თბილისური საბანაო სერვისი.

თუმცა ჯერ კიდევ ზოგჯერ დროიდან სატირიკოსები იწაფებოდნენ აბაზონა-სამრეცხაო თემაზე გონებაამსვილობაში, ოღონდ სამიზნედ გამოყენებული ჰქონდათ ყოველგვარი წერილმანი — გოვზების უკმარისობა, მუყაოს ნომრები, მობანავეთა ტანსაცმლის გატაცების ერთეული შემთხვევები... ამჯერად პრობლემები უფრო მოზრდილია.

ამბობენ, პირველი აბაზონა საქართველოში 15 საუკუნის წინათ გაჩნდა. ერთხელ თურქებმა მეფე ვახტანგ გორგასალმა ნადირობისას შევარდენს ესროლა. ამაყი ფრინველი ცხელ წყაროში ჩავარდა და იქვე მოიხარშა, როგორც უბრალო სარდელი. გონებაამსვილმა მეფემ ბრძანა იმ ადგილას აბაზონა აეშენებინათ, რომლის ირგვლივ მალე ქალაქი წამოიზარდა, თბილისად წოდებული, რამდენადაც ეს ნიშნავს „ადგილს, სადაც არის თბილი წყალი“.

ცხელ წყალში დაბანა მაშინვე მოეწონათ სისუფთავის მოყვარულ ქართველებს. ამასთან გაირკვა, რომ მიწიდან ამოხეთქილ ტენს თუმცა გოგირდის ამაზრუნე სუნი ასდიოდა, სამაგიეროდ, ბევრი სნეულებისაგან კურნავდა, მხნეობას მატებდა ადამიანს და ახალგაზრდავებდა. და ათეული საუკუნის შემდეგ თბილისში სტუმრად მყოფი მოგზაურები ადასტურებდნენ, რომ ქალაქში „ცხელი წყარო 60-ზე მეტია და იმ წყაროების თავზე ფრიად მშვენიერი პალატებია გაშენებული“.

მაგრამ აი რა არის საგულისხმო. არც სხეულები ვახტანგის, არც დავით აღმაშენებლის, არც თამარ მეფის ხანაში საქართველოში არ არსებობდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო და მისი თბილისის სამმართველო მძღავრი შტაბითა და დამამედებელი სახელწოდებით „პიკიენა“. აბაზონა კი საკმაოდ მეტი იყო. ამჯერად კი, როცა საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობა მრავალჯერ გაიზარდა, ძველებურად რომ ვთქვათ, უბრალო ადამიანების აბაზონების რაოდენობა სამჯერ შემცირდა. რას იტყვიან ამის თაობაზე აბაზონის სტატუს-კვოს შენარჩუნების მომხრეები?

ჯერ ერთი, იტყვიან, რომ ჩვენი ცალკეული ბინებისა და, ასე ვთქვათ, მთლიანი აბაზონაობის საუკუნეში მშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, შინ იზრუნონ ტანის პიკიენაზე და ამიტომაც ნაკლებად იარონ აბაზონაში.

# არ წავაქ აბაზონაში

შესაძლებელია, ეს ასეც იყოს, მაგრამ რა ქნან ახალი რაიონების — ვაზისუბნის, საბურთალოს ან ნუცუბიძის პლატოს მცხოვრებლებმა, სადაც მათს საცხოვრებელ მასივებში თვეობით გამორთავენ ხოლმე წყალს პროფილაქტიკური შეკეთების ან სისტემის გაწმენდის მიზნით? რაო, მათ მთელი თვე არ უნდა დაიბანონ ტანი? მტკვრის წყალში იჭყუპალონ? მეგობრებს ესტუმრონ ქალაქის ცენტრში? აბაზონის მითითებულ გარეუბნებში სათლით ვერ იპოვით! რა თქმა უნდა, მესმის, ეს მიკრორაიონები გუშინ არ დაუგეგმავთ და მათ ძნელია წაუყენოთ კეთილმოწყობის პრეტენზიები. მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა ზემოდან ხმამაღალი სიგნალი კომპლექსური განაშენიანების აუცილებლობაზე და ამიტომ თბილისელ სუროთ-მოდერნებს არც კი წარმოედგინათ, რომ ახალმოსახლეები უნდა გარემოსილიყვნენ თანამედროვე ქალაქის ყველა სიკეთით — მაღაზიებით, საბავშვო ბაღებით, ქიმწმენდით, ფოსტით, სკოლებით, აბაზონებით... მაგრამ ამჯერად, თუ სმენა არ მღალატობს, ასეთი სიგნალი გაისმა.

შემდეგ აბაზონის მეურნეობის სულგრძელი მეურვეები აუცილებლად შენიშნავენ, რომ ახლანდელი აბაზონების გამტარუნარიანობა საგრძნობლად გაიზარდა. წინათ აბაზონებში მთელ დღეებს ატარებდნენ ხოლმე, იქ არამარტო იბანდნენ, მღეროდნენ კიდევ; ლექსებს კითხულობდნენ, სადილობდნენ, ეცნობოდნენ, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ტანსაცმლის ახალ მოდელებს, თამაშობდნენ ნარდს და, უბრალოდ, ერთობოდნენ. დღეს მშრომელს არ შეუძლია საკუთარ თავს მისცეს ასეთი გაჯიანურებული დაღვინების უფლება. ხომ საჭიროა წარმოებაში ოდესმე მაინც იყოს. აბაზონათვის იგი ხარჯავს არაუმეტეს ერთი საათისა, გახდისა და ჩაცმის ჩათვლით.

თქმა არ უნდა, საბაბი უტყუარია. თუმცა ვფიქრობთ, აბაზონი ხანმოკლე ყოფნა მაინც განა იმით აიხსნება, რომ გასანდელში ამჟამად ღვინითა და-ხაჭაპურით არ უმასპინძლებიან, უბრალოდ, თბილისის აბაზონების უმეტესობა დიდი ხანია არ შეუკეთებიათ, როგორც საჭიროა, და ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია. №12, 17 და 18 აბაზონები აშკარად ავარიულ მდგომარეობაშია. ფნიზლად უნდა იყოს, რომ ბათქაშის ნატეხი თავში არ მოგვადეს ან ვასეთილი ჟანგისანი მილიდან მდულარემ არ შემოგასხას. ამიტომაც იქ მეტხანს დარჩენას. აზრი არა აქვს. საბონი წაისვი, ქისით დაიბანე, რაც გინდა, ჩაიცვი, დაიხურე და მოუსვი იქიდან! ასე რომ, გამტარუნარიანობის თვალსაზრისით თბილისის ბევრ აბაზონის მალული რეზერვე-

ბის უდიდესი მარაგი აქვს. ერთი-ორი წელიწადი კიდევ რომ არ შეარემონტონ ისინი, ხალხი უფრო სწრაფად დაიბანს და ტყვიასავით გავარდება ქუჩაში, ხოლო ვინც მშობარაა, საერთოდ შეწყვეტს აბაზონაში სიარულს. აი მაშინ გაიხარებენ საბანაო სერვისის მუშაკები!

ეჭვრტ „პიკიენის“ რაინდების კიდევ ერთ არგუმენტს.

— გაიღეთ მოწყალეება! — წამოიძახებენ ისინი. — როგორღა ავაშენოთ ახალი აბაზონები, როცა გოგირდის გეოთერმული წყლების დებიტი კატასტროფულად დაეცა? ბალნეოლოგიურ კურორტებს ძლივსღა ჰყოფნით წყალი.

ეს სწორია. გაღარბდა ერთ დროს უხვი თბილისის ცხელი წყაროები. რატომ მოხდა ეს, სერიანად არავინ იცის. ერთნი ამბობენ, რომ ყველაფერში მეტროა დამნაშავე. მიწისქვეშა წყლებმა ადგილი მოინაცვლეს, მათ სამფლობელოში მეტრომშენებელთა შეჭრით განაწყენებულბამო. სხვებს ჰგონიათ, რომ მთელ ცხელ წყალს იტაცებენ საბურთალოს მიკრორაიონის მცხოვრებლები, რომლებმაც ძირითადი ჯაბურლილიდან თავიანთ ბინებში არალეგალურად გაიყვანეს განშტოებები. ვინ არის აქ მართალი ან, შესაძლოა, სულ სხვა რამეშია საქმე, ოდესმე გადაწყვეტენ ერთობლივი ძალ-ღონით „საქგეოკაპ-მომიმინსწყლის“, „საქმთავარწყალმშენის“ სამმართველოები და ინსტრუქტი „საქყოფ-სახისნი“.

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით უდავო ფაქტია: თბილისში არ არის მოსალოდნელი მუქი ცხელი წყლის სიუხვე. მაშ, იქნებ დროა თვლი ვუსწოროთ სიმართლეს და დაუყოვნებლივ პიკიენურ მოსახლეობის ელემენტარულ ჰიგიენურ საჭიროებებზე და არა შევადგინოთ ძველი უიმედო ჯაბურლილების შეკეთების უსასრულო პროექტები, რომლებიც, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მაინც ვერ შეძლებენ კურორტებსაც და აბაზონებსაც მიაწოდონ სამკურნალო ცხელი წყლის საჭირო რაოდენობა?

არა, არ მიყვარს აბაზონაში სიარული. თითქოსდა ნომრების თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია — დიდი ხანია ალუმინისას ტვიფრავენ, ამჟამად ტანსაცმელსაც არ იტაცებენ, გოვზების საკითხშიც მკვეთრი შემობრუნება! ტანის დაბანა კი თბილისში მთელი პრობლემა!

ქ. თბილისი





ნახ. ღ. თოტიბაძისა

უსიტყვოდ

**უზრომლად  
მოგოვებული**  
სახელისა და სახრავის  
შესახებ

პროვინციულ ფაცურით  
ქიცით და ქიცმაცურით,  
გაძროხით და გაცურვით,  
უანწის ცერზე დაწურვით,  
„ღაშა-ვაშას“ ძახილით,  
ხიცილით და „შაყირით“,  
მოიხვევა ლექსად  
ლექსომ მწერლის სახელი!

სახელი რომ იშოვა,  
აბლა სახრავს მიადგა,  
ახერ შემოტრიალდა,  
ახერ შემოზრიალდა  
და წიგნები გამოსცა  
იშოდენა ტირაუით, —  
გა ლ ა კ ტ ი ო ნ ი ს თ ვ ი ს ა ც  
ი ყ ო ს ი ზ მ ა რ - მ ი რ ა უ ი!

აბეა თუ იხეა,  
ცხოვრობს კაცი ასეთი,  
იქით — ტელევიზია,  
აქით — უურნალ-გაზეთი,  
რადიო და ესტრადა!..  
კიდევ რამე თუ არი? —  
კი! — ცირკშიაც წარდგება  
ახალ რეპერტუარით!..

მარტო ლექსო რომ იყოს,  
ხმას არ ამოვიღებდი,  
დროა, ვისაც ენება,  
თვალში გამოიხედოს!

იწეწება ნერვები  
და მკითხველი იღლება  
საქმოსანი მწერლების  
უსაქმური წიგნებით!..

ელდარ კერძევაძე

## ცხოვრებისეული პარადოქსები

### კოჟიცია

- როგორი კაცია შენი მეზობელი?
- როგორია და... წყნარი, თავაზიანი, გონებამახვილი, პატიოსანი, გულისხმიერი, ნიჭიერი, განათლებული!... პირდაპირ აუტანელი!

### მძიმე პირობა

- მომწონხარ, მიყვარხარ და ცოლადაც წაგიყვან, მხოლოდ ერთი პირობით: შენ იქნები ცოლი და მე — ქმარი!

### ცივილიზაცია ოჯახში

- ნავაჭრი ვერ მინაგარიშია!.. გეთაყვა, რამდენია შეიღვერ ხუთი?
- მგონი, ოცდათხუთმეტი!.. ახლავე შევამოწმებ დისპლეიზე!


### ფარდობითი დრო

- უფროსი გასულია, ერთ წუთში მოვა!
- რამდენი საათია თქვენთან წუთში?

### ბიბლიოთეკის შემოწმება

- თორმეტი სკამი თუ გაქვთ?
- თერთმეტი გვაქვს. მეთორმეტე გაგვიტყდა.
- უნდა შეიძინოთ... საჩივარია შემოსული!

ნახ. ბ. ზუგაშვილისა



უსიტყვოდ

## აკოლონ ბასილია


## მეგობრები

### მინიაბიურა

ერთ ბაღში ორი პამიდორი იზრდებოდა გვერდი-გვერდ. ისინი საკმაოდ მეგობრულ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან.  
დამწიფების უამს ერთი მათგანი დაუღვევარი წიხლის ქვეშ მოჰყვა და სხეულის დეფორმაცია მიიღო, რის შედეგადაც კრეფის შემდეგ მას „ხილნოსტნეულისკენ“ უქნეს პირი, მეორე კი „ცმკავშირისაკენ“ გააქანეს.  
„ხილნოსტნეულიდან“ პირველი ხსანდილოში გაამწიფეს, მეორეს კი „ცმკავშირიდან“ რესტორნის საგზური გამოუწერეს.  
გზაში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.  
— გამარჯობა! — ჩასძახა პირველმა პამიდორმა ავტობუსიდან მეორეს.  
— დაიკარგე აქედან! — ასძახა ტაქსიში დიდაკატორად გადახსლართულმა მეორე პამიდორმა და თავი გვერდზე მიაბრუნა.  
ახე დამთავრდა მათი მეგობრობა.

გურამ ინასარიძე





დმერთმა გიცოცხლოს მლოცველი და დაგიწვევლოს მწვევარი!  
 სარ კარგი მამულიშვილი, მეცნიერი და მკვლევარი,  
 წინაპართ სულის სალხუნად გრძელთა ღამეთა მთევანთა.  
 გაქვს უნერგიაც, სურვილიც აუწყავ-დაუტევარი,  
 არც ასპარეზი გაკლია, დიდი გიც გასაღვევარი!

და კიდევ ერთი სიკეთე, — „ბილწით არ შეეკერი ზავითა,  
 ცნებას ვერაჲინ შეგიცვლის მოზღვავებულის ავითა!“  
 თავს არ იწონებ ყოვლითა თეთრზე ნაწერით შავითა,  
 არც „უნახავი“ გასდები უცხოთა ხანახავითა!

ცუდი დიდების ცდუნებით სიმართლეს არ უღალატებ,  
 პრეს დარკვეულში არ ურევ, რიოშს ხალასზე არ ადებ,  
 სხვის მარადს წუთად არ აქცევ, შენს წუთს არ გაამარადებ!

სადაც ხამს ასპარეზობა, მხოლოდ იქ იასპარეზებ;  
 ზოგავით ველზე ქარსა და ცაზე წეროს კვალს არ ეძებ,  
 უნტანესს არ ამროველებ, მროველს არ აუნტანესებ!

ხარ ღირსი მემბტიანე ჰაოს-ქართლოსის ქმოზისა  
 და მათ ცხოვრებას, ფამთასვლის ერთ ბრძმედში გამოწრთობილსა,  
 მიუკერძებლად მიაგებ სიტყვას „წყნარსა და ცნობილსა!“

ხარ ქართლ-კახური ქართული, ამოდ თქმაც ამაღ გშვენისა;  
 ღვანლი გმოსია, ნუ გემის „ბოლოვამ ამოქშენისა“,  
 მაგრამ მამულის წინაშე ყველა ღვანლმოსილს რცხვენისა, —  
 შენც მოგიხდება კვლა და კვლა მისთვის მირთმევა ძღვენისა!..

მეშინის, მცირე გიქადო და ფერი დაგლო წყენისა, —  
 კიდევ ერგასისს იცოცხლე, შემდეგ შენ იცი შენისა!

ალექსი ჭინჭარაული

მეგობრული მარჯი პაპლე ზაქარიაძისა  
 (გორის რაიონი, სოფელი კარალეთი)



766  
 9.11.1986

სალადოგო სტრიქონები 50 წლის ზაზა ალექსი-  
 ძის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არ-  
 ხნოლოგიის კათედრის გამგავს, პროფესორს

წინაპართულ ღვალფიდან ფერფლ-ნაერის გადამხვეტელო,  
 წუსხათა ფანატოკოსო, ფრესკათა ფანსკერტელო,  
 ხალხური ლექსის თავწყაროს დარის ხელახლად მჭედელო,  
 ერის ბებური ცინოსთვის შედგმულო ღუღაბ-კედელო,  
 „ვიგრ-ხვითქ-ნიანგის“ სახელით (რა ვიცი, თუკი შევძელო),  
 ადრესს მოგართმევს ალექსი, ალექსიძეო შე ძველო!

## დაპირებას უსრულება უნდა!


ამა წლის იანვარში „ნიანგის“ რედაქციაში წერილი მოვიდა:  
 „ქ. მცხეთის გმირის ქ. №2,8 საუწყებო საცხოვრებელი სახლის მე-5  
 სართულზე ორ და სამოთახიან ბინებში მცხოვრებ მოზინადრებებს,  
 სახლის ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან დავა გვაქვს პროექტის  
 დარღვევით. მოწყობილი კიბის გაუქმებაზე“. რედაქციამ წერილი  
 რეაგირებისათვის სახალხო დეპუტატების მცხეთის რაისაბჭოს აღ-  
 მასკომს გადაუგზავნა, საიდანაც გვაცნობეს, საჩივარში მოყვანილი  
 ფაქტები სინამდვილეს შეეფერებაო.

როგორც ირკვევა, მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომმა გამოიტანა  
 სათანადო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადც შესაბამისი უწყების  
 ხელმძღვანელებს დაევალო უზრუნველყონ პროექტის დარღვევით  
 მოწყობილი კიბის გაუქმება და მის მაგივრად მანსარდში ასასვლე-  
 ლად საერთო კიბის მოწყობა. ამასთანავე — მანსარდის სართულში,  
 სამოთახიანში მცხოვრებთა მიერ არადანიშნულებისამებრ გამოყენე-  
 ბული სათავსოს გამოთავისუფლება და მის ადგილზე ყველა სარ-  
 თულის მოზინადრებისათვის საერთო სარგებლობის სარეცხის  
 საშრობის მოწყობა.

მიმდინარე წლის აგვისტოში რედაქციაში კვლავ შემოვიდა წე-  
 რილი გმირის ქუჩა № 2, 3 საუწყებო სახლის მოზინადრებისაგან.  
 ამჯერად მოზინადრები დაბეჭითებით ითხოვენ ქალაღლზე დარჩე-  
 ნილი გადაწყვეტილების უსრულებას.

დუშეთის რაიონში არის ასეთი სოფელი — ბოღავი. 1982  
 წელს ბოღავის მცხოვრებლებმა „ნიანგს“ თხოვნით მომართეს,  
 ჩვენი საცოდავი ბოღავის ელექტროგაყვანილობაზე იქნებ ვინმემ  
 იფიქროსო. იფიქრეს და რედაქციისათვის გამოსაგზავნად ეს პასუხი  
 მოიფიქრეს: „დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს  
 აღმასკომი თქვენგან გადმოგზავნილი კოლექტიური წერილის პასუ-  
 ხად გაცნობებთ, რომ „საქმთავარენერგოს“ ცენტრალურ ელექტრო-  
 ქხელის დუშეთის საქსელო რაიონს სოფელ ბოღავის ელექტროფი-  
 ცირება გათვალისწინებული აქვს 1988-84 წლისათვის“.

დღესაც აბოღებს სოფელ ბოღავს დაპირებული სინათლე, მაგ-  
 რამ... იმედად ქალაღლზე დაბეჭდილ პასუხს ინახავს.



ნახ. 3. კუცინასი

ტელეფონის აპარატი: მიდი, ძმაო, საქმე  
 გააკეთე! აღარ დაიღალე ამდენი ლაყბობით?!



აშშ-ს სამხედრო უწყება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებული თავისი ბაზების დასაცავად იყენებს ბატებს, რადგანაც ამ ფრინველებს ჩინებული უნარი აქვთ განაგაჟონ „ტერორისტების“ მოახლოებისას. ასეთ უნარს კი ნარკოტიკებით გაბრუებული ამერიკელი ჯარისკაცები მოკლებულნი არიან.

გაზეთიდან



ჩვენ ბატები კი ვართ, მაგრამ დამონებრან-ბებებს და „ტერორისტებს“ ბრძოლისთვის ვანსებ-ვაპებთ!

სატირიკო და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №23 (1728), ნოემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირჯიბი, ნოზალი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ შალაშონია (მხატვარ - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბენუან სიხარულიძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივიციანი, ნაფი ჯუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნღუა

გაღაცა ასაწყობად 23. 10. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 11. 86 წ. ქალაქის ზომა 80x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სადრიცხვო-საგამომცემლო თავახი 1,9, საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2459 უმ 05166. ტირაჟი 143.000. ქურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137 ფანბი 20 კაპ.

ИЗДАТЕЛЬСТВО  
НИАНГИ